# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

წლიურათ . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . . 3 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 139

წელიწადი მეორე

1913

კვირა, 8 სეკტემბ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ“.

ტელეფონი № 149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვრივი ნინო სტურუასი შვილები ისიდორე, ანტონი და დავითი და სტეფანე პეტრეს ძე სტურუა მწუხარებით ამით აუწყებს ნათესავთა და მეგობართ, რომ კვირას, 8 ეკენისთვეს დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი

## ივანე პეტრეს ძის სტურუას

სულის მოსახსენებლათ.

---

ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოწაფენი და მასწავლებელთა კორპორაცია გულითადის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 6 ენკენისთვეს ხანმოკლე ავათმყოფობას შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი მასწავლებელი და ძვირფასი ამხანაგი

## პეტრე თეოდორის ძე პეტროვი.

პანაშვიდები 7 ენკენისთვეს გიმნაზიის ეკლესიაში 1-სა და 6 საათზე, ხოლო ცხედარის გამოსვენება ქალაქის საავათმყოფოდან 7 ენკენისთვეს შუადღის 4 საათზე, კვირას 8 ენკენისთვეს გაასვენებენ თფილისს.

---

Педагогическая корпорація и ученики Кутаисской мужской гимназіи съ глубокимъ прискорбіемъ извѣщаютъ о безвременной кончинѣ первые своего дорогого сослуживца, вторые уважаемаго преподавателя

## Петра Θеодоровича Петрова

послѣдовавшей сего 6 сентября послѣ кратковременной, но тяжкой болѣзни. Панихиди будутъ совершены 7-го сентября въ 1 ч. и 6 ч. дня въ церкви мужской гимназіи. Выносъ тѣла изъ городской больницы въ 4 ч. дня 7-го сентября, отпѣваніе будетъ совершенъ въ воскресенье 8 сентября послѣ обѣдни, а затѣмъ тѣло будетъ отправлено въ Тифлисъ для преданія землѣ.

---

...ნც თუთუნს ეწევა, გსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროსებს

**...პაროსი** 25 ცალი 3 შ. / 10 — 6 კ. იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

...პიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნით და საუცხოვო გემოვნებით.

...თუთუნის ქარხანა **ძმათა სეილანოვებისა.**

თფილისში.

---

**ახალი უვნებელი საშვალება**

...რმე პირისახისათვის „ბ ე ტ ტ ი“

ფარმ. ს. ს. ნადარეიშვილის.

...ილებს და ასუფთავებს სახეს; სპობს სრულებით ფერმკამლებს; გადაყავს ნამზე... ...რი დაასწორებს პირის ნაოჭებს. ურჩევ აგრეთვე მამაკაცებს ვინც პირს ხშირათ ...პარსავს და ექერცლებათ სახე. მოითხოვეთ ყველა აფთიაქში და აფთიაქის მა... ...ზიაში. უმთავრესი საწყობი ქ. თბილისში ლიბიხის აფთიაქი ს. ს. ნადარეიშვი... ...ლ. ფასი ერთი მანეთი. ვანყოფილება ქ. ქუთაისში აფთიაქებსა და აფთიაქის მაღაზიებს სკიდკა. აფთიაქის მაღაზია პ. ა. შავერზოვი.

---

ПО СЛУЧАЮ ОТЪѢЗДА

**ПРОДАЕТСЯ** очень дешево дача въ Сурамѣ, большой двухэтажный домъ; полторыдѣсятины земли; изъ нихъ полъ десят. сосновой рощи съ флигелемъ; съ банковскимъ долгомъ, объ условіяхъ узнать: г. Кисловодскъ до востебованія, *Генеральше Акуловой.*

აგარაკ სურამში, საიდანაც მივდივართ,

**იაფათ იყიდება**

...ლი ორსართულიანი სახლი, ერთ-ნახევარი დესეტინა მიწით. ნახევარ დესეტი... ...ნაძნარია, ფლიგელით, ბანკის ვალით. პირობების შეტყობა შეიძლება ამ ...მართით: კისლოვოდსკში ღენერლის მეუღლეს იაკულოვისას (до востребованія).

---

# РАДІУМЪ

Съ воскресенье, 8 сентября между прочими картинами будетъ демонст.

МОНОП. КАРТИНА КИНЕ-РОМАНЪ II-Я СЕРІЯ

## ФАНТОМАСЪ ПРОТИВЪ ЖУВА

въ 4-хъ част. 2350 мет. и другія картины. Подроб. въ програм.

---

ვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ ქუთაისის საზოგადოებას, რომ თფილისის ქუჩაზე **ქალაქის აფთიაქის გვერდით,** ჩვენ ძმ. გრიგოლაშვილებმა მოვაწყვეთ ახალი რესტორანი

## ფაზისი

სადაც შეიძლება იშოვოთ ახალი სანოვაგისაგან გაკეთებული საუზმე, სადილი და ვახშამი ქართული და ევროპიული **იაფ-ფასათ**; ყოველგვარი ღვინოები, ტკბილი სასმელები და ცივი მინერალური წყლები.

რესტორანში დაცულია სიწმინდე და თავაზიანი მოპყრობა მოსამსახურეების

---

## განცხადება.

მაქვს პატივი ვაცნობო ქუთაისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამ 1913 წლის 25 მარიობისთვიდან.

**ქალთა პროფესიონალურ შკოლაში**

დაიწყება ბავშების მიღება დილის 9-2 საათამდი. წლიური გადასახადი განყოფილებებში 20 მან. კლასებში-კი 25 მანეთი. წელს გაიხსნება მე-3-მე კლასი.

შკოლის უფროსი მ. დუნდუა.

შკოლის მისამართი: თბოინის შესახვევი სტ. ფირალოვის სახლებში.

---

## თ. ა. მთავრიშვილის
## წიგნის მაღაზია

აუწყებს მასწავლებლებს, მოსწავლეებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს, რომ ამა 1913—14 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს

## დიდძალი სახელმძღვანელო და სხვა წიგნები,

რომელიც იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშვალო სასწავლებლებში.

**ფასები საკმაოდ დაკლებულია.**

მსურველთ შეუძლიათ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთებიც: **რვეულები, კალმები, კალმის ტარები, კარანდაშები, საანგარიშო დავთრები** და სხ., რასაც **ძალიან დაკლებულ ფასათ** დაუყონებლივ მივაწვდით **გოკიელის** საკანცელარიო მაღაზიიდან.

მისამართი: **ქუთაისი,** ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიას სახლი, ბულვართან.

---

## ჭრა-კერვის
### სპეციალური სახელოსნო

ვღებულობ ქალთა ყოველგვარ ტანსაცმელს შესაკერათ, ხელმისაწდომ ფასათ. შეკვეთილს ვასრულებთ თავის დროზე და პირნათლად.

მისამართი: თფილისის ქ. ქალაქის აფთიაქის პირდაპირ, ჯაშიკოვის სახლი.

პატივისცემით სამ ჭუონიასი.

---

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი

**მ. ბალანჩივაძისა**

კვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: **მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა** და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, აგრეთვე უცრი ყვავილსაც. გენერლის ქუჩა, აქიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი.

---

**აქიმი** ა. ი. აშიანცი დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა. ივანოვის ქ. პ. აშიანცის სახლი.

---

**ა ქ ი მ ი** ა. თ. ტყეშელაშვილი.

ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი ვენერიული კანის**) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.

---

**აქიმი** ვ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ჯორჯიკიას სახლი.

---

**ქუთაისის ქართულ გიმნაზიის**

მერვე კლასის მოსწავლე ვუსწორებ გაკვეთილებს მოსწავლეებს მეოთხე კლასამდი ხელმისაწდომ ფასში. ვინაობის გაგება შეიძლება გაზ. „იმერეთი“-ს რედაქციის კანტორის გამგესთან.

---

**აქიმი ი. ჩარექოვი.**

იღებს **კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე.** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.

---

შინაგან სნეულებათა **ა ქ ი მ ი**

**ნიკ. ივ. ზენგელია.** მიღება: დილით 9—11 ს., საღ. 5—7. გენერლის (გოგებაშვილის) ქუჩა, საკ. სახლი.

---

აქიმი კ. ი. კავიტელაშვილი საზღვარგარეთ გამგზავრების გამო დროებით ავათმყოფებს ვეღარ მიიღებს.

4 —15

---

## იყიდება

ქუთაისში „პოდგორნი“ ქუჩაზე რიონის პირისკენ ორსართულიანი ქვიტკირის სახლი სარდაფით.

მისამართი: „პოდგორნი“ ქუჩაზე ზაინკალი (слесарь) ერმილე ქორიძე.

---

## დავკარგე

ვადა გასული საზღვარ გარეთელი პასპორტი, მნახველს უმორჩილესად ვთხოვ გაზ. „იმერეთის“ რედაქციას გადასცეს.

**სტუდენტი კ. გამსახურდია.**

---

## ქუთაისი, 8 ეკენისთვე.

რუსეთის პოლიტიკური სფერები დიდის ინტერესით ადევნებენ თვალყურს, კიევის დღესასწაულზე შეკრებილ დეპუტატთა და მთავრობის წარმომადგენელთა თათბირს. როგორც სატახტო გაზეთები გადმოგვცემენ, ამ თათბირს მიზნათ აქვს შექმნას სახელმწიფო სათათბიროში მტკიცე და მაგარი ცენტრი, რომელმაც თავს უნდა იდვას „მორიგ“ რეფორმათა განხორციელება. თათბირში თურმე იღებენ მონაწილეობას ნაციონალისტები და ოქტომბრისტების მემარჯვენე ნაწილი. მოლაპარაკებაა გამართული აგრეთვე მთავრობის წარმომადგენლებთან, რომლებიც არა ნაკლებ დაინტერესებულნი არიან ასეთი ცენტრის შედგენაში. არ ვიცით, განხორციელდება თუ არა „მომუშავე“ ცენტრის შექმნის იდეა. შესძლებენ ოქტომბრისტების მიმხრობას თუ მეოთხე სათათბიროს მეორე სესიის მოქმედებაც ფრაქციათა შემთხვევით კომბინაციებზე იქნება დამოკიდებული ეს კი ცხადია, რომ „მკვდარი წერტილიდან“ დაძვრის საჭიროებას გრძნობს ყველა, ოქტომბრისტები, ნაციონალისტები და თვით მთავრობის წარმომადგენელნიც. საქმე ის არის, რომ ამ ზაფხულზე არ დარჩენილა მთელს რუსეთში ისეთი შესამჩნევი სამრეწველო დარგი, სადაც გაფიცვა არ მომხდარიყოს. მუშათა მოძრაობამ სისტემატიური ხასიათი მიიღო. სიმპტომატიური კიდევ ის არის, რომ ყველგან მუშათა გაფიცვებს ძველი სტიქიური ხასიათი აღარ აქვსთ. არსად არავითარ ძალადობას გაფიცულნი არ იჩენენ,

ახლანდელი გაფიცვები მშვიდობიანის ხასიათისაა, რაც ადმინისტრაციას მიზეზს არ აძლევს—ჩაერიოს, ნაცადი რეპრესიულის ზომებით გაფიცულებზე იმოქმედოს. ასეთ გაფიცვებს არ შეუძლია თვით უმოდლესმა მთავრობამ აპგარიში არ გაუწიოს.

ყოველთვის, როგორც კი საზოგადოების დაბალი კლასები ამოძრავდება, რუსეთის ვაჭარ-მრეწველნიც თავს ანებებენ ჩვეულებრივ დუმილს და თავის მოთხოვნილებებზე ხმამაღლა იწყებენ ლაპარაკს. ყველას ახსოვს ნოვგოროდის საიარმარკო ვაჭარ-მრეწველთა გარეგნულად ზღილობიანი, მაგრამ არსებითად ბეჯითი განცხადება:—როგორც რუსეთის მოქალაქენი, ვშვამდგომლობთ 17 ოქტომბრის მანიფესტის ძირითადი საფუძვლების ცხოვრებაში გატარებასო. სალაზკინის ამ განცხადებას ხმა მისცა თითქმის მთელი რუსეთის გამოჩენილმა მრეწველებმა და მი-

სი მოთხოვნილება თავისად გამოაცხადეს.

საერობო და ქალაქის თვითმართველობათა რეფორმა საჭირბოროტო კითხვათ გამხდარა. აზნაურ ამომრჩეველთა აბსენტეიზმი იქამდი მივიდა, რომ კრებაზე ესწრება გაცილებით ნაკლები რიცხვი ვიდრე ასარჩევი პირია. ამ პირობებში უხდება შეკრება სათათბიროს და საკვირველი არ არის, რომ მისი მესვეურნი ცთილობენ მომუშავე პასუხისმგებელი ცენტრის შექმნას, მაგრამ საკითხავი ის არის —ვისგან უნდა შეიქმნას ესეთი ცენტრი? შესძლებენ ოკტომბრისტები და ნაციონალისტები ერთად სიარულს? შეუძლიათ კი ერთად იმოქმედონ, ვსთქვათ, საერობო რეფორმის კანონის მიღებაში? რაც შეეხება პოლიტიკურ მხარეს, ოკტომბრისტები დიდიხანია 17 ოკტომბრის მანიფესტის მესაფლავეებათ არიან ცნობილი. მათ სახელწოდების გარდა არაფერი საერთო აქვთ 17 ოკტომბრის მანიფესტთან. ეს ნათლათ დაამტკიცა მესამე სათათბიროში მათი ხუთი წლის მოღვაწეობამ. გადამწყვეტ საკითხებში, როცა საჭირო იყო პრინციპიალური პოზიციის დაკავება, ყოველთვის გუჩკოვის არმია უკან იხევდა. მოიგონეთ 87 მუხლის ძალით 6 სამხრეთ გუბერნიაში ერობის შემოღება და მაშინდელი ოკტომბრისტების საქციელი. ამიტომ იყო, რომ შარშანდელ არჩევნებში სასტიკათ დამარცხდენ. მეოთხე სათათბიროში თითქმის ნახევარზე მეტი აღარ დაბრუნებულა. დამარცხდა თვით ოკტომბრიზმის სულის ჩამდგმელი მისი ლიდერი ა. ი. გუჩკოვი. განვლილმა საარჩევნო კამპანიამ გამოაფხიზლა და თავის ბედზე დააფიქრა „დაკარგული საბუთის პარტია“. ამ მხრით სიმპტომატიური იყო მ. ვ. როძიანკოს სიტყვა, როცა ის სათათბიროს თავჯდომარეთ აირჩიეს. თავის სიტყვაში მან კონსტიტუცია ახსენა და მით დიდი აფრთოვანება გამოიწვია მთელს რუსეთში.

განა საკვირველი არ არის:—რუსეთში რვა წელიწადია თუნდაც ქაღალდზე, მაგრამ მაინც არსებობს კონსტიტუცია და როდესაც ამას „პარლამენტის“ თავჯდომარე იხსენიებს ეს რაღაც არაჩვეულებრივ მოვლენათ ეჩვენებათ, იწვევს ერთის მხრით დიდ წყრომას, მეორეს მხრით დიდ აღტაცებას.

დღეს საზოგადოებრივი მოძრაობა თვალსაჩინოთ იზდება. ყოველ მხრიდან გამოფხიზლების ნიშნები ჩანს და ამიტომ გვგონია, რომ ოკტომბრისტები ვერ გაბედვენ ბლოკით შეეკრან იმ პარტიას, რომელსაც დროშაზე ზოოლოგიური ნაციონალიზმი უწერია. ესენი გამომსახველი არიან სხვილ მემამულეთა ინტერესების, მათ პირი წარსულისკენ აქვთ მიბრუნებული. ისინი პოლიტიკურ ასპარეზზე განსვენებულმა პ. ა. სტოლიპინმა გამოიყვანა და მის სიკვდილთან ერთად ნაციონალისტების ბედის ვარსკვლავიც ჩაესვენა. აშკარაა ასეთი მოღვაწეებს ვერ შეუკავშირდება ვერც ერთი პარტია, რომელსაც სურს საზოგადოებაში რამე გავლენა ქონდეს. საქმეს ართულებს ის გარემოებაც, რომ კაბინეტის თავჯდომარე კოკოვცოვი ერთად-ერთი მინისტრია, „რომელსაც ოკტომბრისტები მხარს უჭერენ; ნაციონალისტები კი მას ძირს უთხრიან. სად არის შეთანხმების ნიადაგი. ამ პირობებში დარჩა რამდენიმე მემარჯვენე ოკტომბრისტი. ესენი მზათ არიან ნაციონალისტებთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებული იარონ, მაგრამ ამათი მნიშვნელობა თითქმის ნულს უდრის ცენტრის შექმნის საქმეში.

# ახალი ამბავი.

✦ ამ დღეებში ქუთაისს ეწვევა სახელმწიფო სათათბიროს წევრი, შრომის ჯგუფის ლიდერი, კერენსკი, რომელიც ქუთაისში ლექციის წაკითხვას აპირობს. ბ. კერენსკი ქუთაისში ორ დღეს დარჩება, აქედან იგი ჭიათურას გაემგზავრება, სადაც გაეცნობა შავი ქვის მუშათა ყოფა-ცხოვრებას. ჭიათურიდან იგი ბათომს გაემგზავრება, სადაც ორ დღეს დარჩება, შემდეგ რამდენიმე დღით დაისვენებს რომელიმე აგარაკზე შავი ზღვის პირათ და იქიდან პეტერბურგს გაემგზავრება.

✦ გუშინწინ ქუთაისში კრება ქონდა წვრილი კრედიტის საზოგადოებას იმის თაობაზე, თუ რა ზომები მიიღონ ჩვენს ქვეყანაში მოსალოდნელი შიმშილისა და ხალხის გაჭირვების ასაცდენათ.

✦ კიევში პორუჩიკს აბაშიძეს ნება დართეს და იგი სექტემბრის პირველ რიცხვებში გადმოფრინდება თფილისს. მან 2,350 ვერსი უნდა გამოიაროს.

✦ შინაგან საქმეთა და გზათა მინისტრთა შეთანხმებით ნებადართულია გაფიცულ უსაქმო მუშათა სამშობლოში დაბრუნება დაბრუნდება რკინის გზით უფასოთ, ვინც მათ შორის საიმედო იქნება და რომელთაც გაფიცვისთვის მუშათა წაქეზება არ ედებათ ბრალათ.

✦ მიხაილოვის ქუჩაზე მცხოვრებს მჭედელს მოსე ასათიანს ქონია ხუთი ძველი ვერცხლის ფული ორ-ორ აბაზიანი, ერთი თითბერი რგვალი, რომლის ცალ გვერდზე ირმის თავია გამოსახული, მეორეზე ყვავილი.

✦ ბაგრატის ტაძრის ნაშთის დამცველი კომიტეტის წევრი ა. გორგაძე მადლობას უცხადებს დეკანოზ მ. გაბრიელ ცაგარეიშვილს, რომელმაც ხსენებულ კომიტეტს სამი მანეთი შესწირა.

✦ სტუდენტი ნ. ნაზემცოვი მადლობას უცხადებს იმ პირთ, რომელთაც ნივთიერი დახმარება გაუწიეს უმაღლეს სასწავლებელში წასასვლელათ. მადლობას სწირავს ქ-ნ ა. ლორთქიფანიძისას, რომელმაც შრომა არ დაიზარა და მის უმწეო ნივთიერ ხელმოკლეობას თანაუგრძნო.

✦ ქუთაისში ჩამოვიდა ჩვენი დრამატურგი გედევანიშვილი, რომელსაც თფილისის ქართული დრამატიული საზოგადოებისგან დავალებული აქვს მოელაპარაკოს ადგილობრივ დრამატ. საზ. გამგეობას წრევანდელი სეზონის შესახებ. თფილისის გამგეობა თანახმაა იკისროს ქუთაისში წარმოდგენის მართვა ქუთაისის მსახიობები თითქმის ყველა მიიწვიეს თფილისს.

✦ ახალგაზდა მგოსანი ა. შანშიაშვილი გერმანიაში გაემგზავრა.

✦ მარიამ ყაუხჩაშვილის ასულის ქალთა სასწავლებელმა გუშინ ოლქის მზრუნველისაგან დეპეშით ცნობა მიიღო, რომ მის სასწავლებელს გიმნაზიის უფლება მიენიჭა.

✦ პარასკევს, 6 სექტემბერს ქალაქის საავათმყოფოში ხურებით (ტიფით) გარდაიცვალა ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მასწავლებელი კ. პეტროვი. განსვენებული ჯერ სულ ახალგაზდა იყო და დიდი სიყვარული ქონდა დამსახურებული მასწავლებლებ-მოწაფეთა შორის.

✦ ამ დღეებში პეტერბურგიდან მოელიან რევიზორს, რომელიც ამიერ-კავკასიის რკინის-გზათა კანტროლის რევიზიას მოახდენს.

✦ 4 ეკენისთვეს სოფ. ძიგურში ტიფით გარდაიცვალა ჩვენი თანამოაზრე ჯანღონით სავსე ახალგაზდა მასწავლებელი კალესტრატე კაჭარავა.

## მოწერილი ამბავი.

**ს. ხეთა** (ოდიში) ადგილობრივ შკოლის აშენებას უკვე შეუდგა მოიჯარადრე გაბიდავამ.

ორკლასიანი სავაჟო და ერთკლასიანი საქალებო სასწავლებელში ძველი და ახლადმიღებული მოწაფეთა რიცხვი 400 მეტია, წელს მთხოვნელი 60—65 იყო. ორივე სასწავლებლებში არის მარტო ხუთი მასწავლებელი რომელთაც არავითარი გზით აღარ შესწევთ ძალა ამდენ მოწაფეებთან იქონიონ მეცადინეობა და არც შკოლის ბინები იძლევა ამის საშვალებას.

1 ამა სექტემბერს საზოგადოებამ სასოფლო ყრილობაზე განაჩენი გამოიტანა: ეთხოვოს მთავრობას კვლავ ორი მასწავლებელი დაინიშნოს სასწავლებელში სახელმწიფო ჯამაგირით, ხოლო თვითონ წლიურათ იხადოს ამ ორი მასწავლებელთა ბინის, გათბობისა და განათების საჭიროებაზე ასი მანეთი. (100). იმედია სამოსწავლო მთავრობა ყურადღებას მიაქცევს საზოგადოების თხოვნას.

# დღიური.

ტოკიოში მიტინგი გაიმართა, მიტინგმა კაბინეტის გადადგომა მოითხოვა.

— სერბია და ბულგარელები ერთმანეთში ტყვეებს სცვლიან. 1593 ბულგარელი ტყვე და 3901 სერბიელი.

— გენტში მხოფლიო გამოფენის ოთხი პავილიონი დაიწვა.

— ტოკიოში 18 გაზეთი დააჯარიმეს აბის მოკვლის შესახებ ცნობის მოთავსებისათვის.

— მეფუტკრეთა კრებამ დაადგინა შემდეგი კრება მოსკოვში 1905 წელს მოხდეს.

— რიგაში ლატიშთა სახალხო სახ[...] გაიხსნა.

— გალიციაში წყალდიდობისგან [...] რალი 266 მილიონ კრონს უდრის.

— „ზვეზდის“ მერვე ნომერი [...]ვეს.

— მინსკში ოლქის მზრუნველმა სა[...] თო სჯულის მასწავლებელი დაითხ[...] ბრალათ ედება უარის თქმა ბელორ[...] ში სღვთოსჯულის რუსულ ენაზე სწ[...] ლებაზე.

# ფიქრთა მორევში.

ეს ერთი ხანია—ნაწილი მკითხველი საზოგადოებისა დასელების პროტესტებით იკვებებოდა, კვლავ იკვებება. სახესა და მნიშვნელობას ამ პროტესტებისას ჩვენ შესაფერი სახელიც ვუწოდეთ... და დღემდი ჩვენა და ჩვენი თანამოაზრე გაზეთები არ ვფიქრობდით ამავე კვალს გავყოლოდით და კონტრ-პროტესტების სტამბვა დაგვეწყო, მაგრამ ყოველ მართებულობასა და ზომას გადაცდენ დასელები და „სახალხო გაზეთი“ შეუდგა საპასუხო პროტესტების ბეჭდვას. ჩვენი მკითხველებიც წერილობით თუ სიტყვიერათ გვაცნობებდენ—თუ დაუთმობთ ადგილს, მოგაწოდებთ კონტრ-პროტესტებსაო...

კეთილი და პატიოსანი—პრესა უნდა გახდეს პროტესტებისა და კონტრ-პროტესტების სარბიელათ!

და ყოველ პროტესტსა თუ კონტრპროტესტში ილიას სახელთან ერთად ფილიპე მახარაძის სახელიც უნდა იხსენიებოდეს. სხვა რაღა უნდა ამ საცოდავ, საბრალო ფილიპე მახარაძეს... ამას გარდა იმ თავითვე არას ფიქრობდა [...] როცა პირველად გაილაშქრა თავის ბინ[...] რი ინსინუაციებით დიდებული კა[...] წინააღმდეგ... საწადელს მიაღწია—[...] ყოველ მისი სახელი იხსენიება...

და მახინჯი გულით, მახინჯი სულ[...] იქნებ, მახინჯი ღიმილითაც ეგებება [...] მოვლენას!..

ხოლო ეგ ღიმილი—„სიცილი ცრ[...] ლზე უფრო მწარეა“... თუ მწარე არა[...] უნდა იყოს მწარე პირადათ მისთვის. [...] თუ პირადობის ნატამალი კიდევლა [...] დია მას—და ყველა იმათთვის, ვინც [...] საწყალ კაცუნას დღეს ქომაგობს.

ილიას სულს კი ქომაგობა არა ს[...] რია და ამ აზრით არ ხელვმძღვანელობ[...] ჩვენ, როცა მის სახელს ვახსენებთ...

ილიას დიდებული სული და მისი [...] ხელი იმად ევლინება მარად და მა[...] ქართველი ერის სულსა და გულს, [...] შენდობა და შეწყალება გამოვითხოვთ[...]

„რას ჩადიხართ“!—იყო უკანასკნ[...] ამოძახილი ტყვიით გაგმირული მგ[...] ნისა...

რას ჩადიხართ!—ვეტყვით ჩვენ მა[...] დელსა და დღევანდელ მახინჯებს...

დ. მეს[...]

# იაპონია და ჩინეთი.

ჩინეთის ახალგაზდა რესპუბლიკა უკ[...] დასამარდა, მეამბოხე სამხრეთელები იუან[...] შიკაის ჯარისკაცებმა დაამარცხეს და [...] გამარჯვებას თვ იღნება „პრეზიდენტ[...] დღესასწაულობს. მოძრაობის სულის ჩა[...] გმელნი სუნიატსენი და ხუანსენი გ[...] დევნილი არიან, დანარჩენ მეამბოხ[...] სიკვდილით სჯიან და მნიშვნელო[...] რევოლუციონერების სიცოცხლე ოქრო[...] ბათაა დაფასებული. რევოლიუციონ[...] მთავარი ძალები უკვე დამარცხებუ[...] თუ არ მივიღებთ მხედველობაში პატ[...]

# „ერთად-ერთი ხარკი“.

(გაგძელება, იხ. „იმერ“. № 138.)

**ბ. ჰაინდმანი**: ბატონო თავჯდომარე, მეგობრებო და თანამოქალაქენო! გამოვდივარ აქ ბ. ჰენრი ჯორჯის მიერ განმარტული „ერთად-ერთი ხარკის“ დოკტრინის წინააღმდეგ და ვიწყებ იმ ტეზისების აღდგენით, რაშიც ჩვენ, სოციალ-დემოკრატები,—მე კი გამოვდივარ აქ, როგორც რევოლიუციონერი სოციალ-დემოკრატი ვეთანხმებით ბ. ჰენრი ჯორჯს. მისი წიგნის „პროგრესი და სიღარიბე“-ს 20-ე გვერდზე თქვენ წაიკითხავთ შემდეგს: „ხელფასი, მის მაგივრათ, რომ კაპიტალს ჩამოსცილდეს, ნამდვილათ შრომის ნაყოფს სცილდება, რომლის საფასურათაც იხდიან მას“, სრული ჭეშმარიტებაა. ჩვენც ამას ვამბობთ. ჩვენ მხოლოდ ვუმატებთ, რომ, მაშასადამე, მოგება წარმოსდგება მუშის ზედმეტი შრომით, რომელსაც კაპიტალისტი ქირაობს ვიმეორებ, ჩვენ ვეთანხმებით ბ. ჯორჯის დებულებას, მხოლოდ გამოვიყვანოთ კი აქედან საჭირო ლოღიკური დასკვნა. ჯერ ერთი—ეს. მეორეთ ჩვენ ვეთანხმებით ბ. ჯორჯს მასში, რომ მცხოვრებთა სიმრავლე არ არის სიღარიბის მიზეზი და, მალტური, როგორც ეს მშვენივრათ დაახასიათა ბ. ჯორჯმა, სტყუის, მესამეთ ჩვენ ვეთანხმებით ბ. ჯორჯს, რომ თანამედროვე მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. საჭიროა საშვალებანი, რომელთაც ასე დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენს დროში როგორც მართველობაში ეკონომიას, ოჯახთა სიმცირეს, უკეთეს განათლებას მუშებისათვის (რაც არსებითად იმას ნიშნავს, რომ უფრო დახელოვნებული მუშა ეყოლება კაპიტალისტს), მუშათა შრომის მოყვარეობას (რაც კვალად წარმოების გაფართოებას ნიშნავს, კიდევ მეტი მოგება ჩაიჯიბონ კაპიტალისტებმა და ლენდლორდებმა კი გააფართოვონ თავიანთი მიწა-ადგილების საზღვრები) და, ბოლოს ხელმომჭირნეობას და სიფხიზლეს—ჩვენ ვეთანხმებით რომ ყველა ასეთი საშვალება ჩირათ არ ღირს. ხელმომჭირნეობა იმიტომ, რომ თანამედროვე წყობილებაში, როგორც თვით ბ. ჯორჯიც აღიარებს, ვერ შესცვლის მდგომარეობას, რომლის წყალობითაც მთელი მუშათა კლასი და ბურჟუაზიიდანაც მრავალი იტანჯება. ვერც სიფხიზლე შესცვლის ეკონომიურ ურთიერთობას, რომლის კლანჭებშიც მომწყვდეულა და იტანჯება ხალხი. ის შეიძლება ინდვიდუალური ბეჩნიერება იქნეს, მას შეუძლია ემსახურონ ინდივიდუალურ სარგებლობას, მაგრამ არ შეუძლია გაჭირვებულს შეუმსუბუქოს ხვედრი. ის ვერ იხსნის ირლანდიელ გლეხს მისი მოიჯარადრე ლენდლორდის კლანჭებისაგან (კმაყოფილების ნიშნები). ვერც ტრედუნიონები მიაღწევენ ამ მიზანს. ამაშიც ვეთანხმებით ერთმანეთს მე და ბ. ჯორჯი. კოოპერატიული საზოგადოებანი, რომელნიც განაწილებას ემსახურებიან, განსაკუთრებით კი, მიწის განაწილებას წვრილ მესაკუთრე გლეხების დასახლებით, აგრეთვე უსარგებლო საშვალებაა თანამედროვე წყობილებაში ბ. ჯორჯის მიმდევარნი, ვინც კი გეთანხმება ხსენებულ ტეზისებში, ძლიერ უახლოვდებიან ჩვენ პროგრამას, მეოთხეც ჩვენ ვეთანხმებით ერთმანეთს, რომ ჩვენი დროის ლტოლვა, როგორც მეურნეობაში, აგრეთვე მრეწველობაში, ეს—წარმოებაა ფართე საზომით, უფრო მსხვილი კაპიტალით, ამის დასამტკიცებელ სტრიქონებს თქვენ წაიკითხავთ, თუ არ ვცდები „პროგრესი და სიღარიბე“-ში და „სოციალური პრობლემი“ ს მე—300 გვერდზე. ამგვარი ლტოლვა-მიდრეკილების შედეგებზე კიდევ მივაქცევ თქვენ ყურადღებას. მეხუთეთ ჩვენ ვეთანხმებით ერთმანეთს, რომ ჩვენ დროში მუშების მიერ შექმნილ საზოგადოებრივ სიმდიდრის ზრდასთან ერთად ეცემა სამუშაო ქირაც, ე. ი. სიმდიდრის ზრდასთან შედარებით სამუშაო ქირა მის უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს. და ბოლოს ბ. ჯორჯი აღიარებს, რომ ის მომხრეა მონოპოლიის საზოგადოებრივი საკუთრებით შეცვლის. აი, რას მივყევართ შორეული გზით იმ სოციალიზმისაკენ, რომლის დოკტრინაც მე უნდა დავიცვა სოციალ-დემოკრატიული ფედერაციის მონდობილებით მაშ რაღაში არ ვეთანხმებით ერთმანეთს ჩვენ და ბ. ჯორჯი? პირველათ იმაში, რომ ვითომ კაპიტალისტურ მეურნეობის ქვეყანაში რენტის გადიდება ამცირებს ხელფასის ნაწილს. მე ვამბობ, ეს არ არის მართალი. ვამტკიცებ, რომ რენტა არ ამცირებს ხელფასის ნაწილს კაპიტალისტურ მეურნეობის ქვეყანაში; რომ მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში ამცირებს რენტა ხელფასის ნაწილს. უარს არ ვყოფ. რომ რენტა იმ შემოსავალს ამცირებს, რომელსაც ხელფასს უწოდებს ბ. ჯორჯი და რომელსაც ირლანდიელი გლეხი-მოიჯარადრე იღებს მეურნეობიდან. ირლანდის მდგომარეობა კი განსხვავდება ამერიკის ან სხვა ქვეყნებიდან. ირლანდიის მდგომარეობა გამონაკლისია და ეჭვი არ არის, რომ ასეთ განსაკუთრებულ მდგომარეობაში რენტა ამცირებს მიწის შემოსავალს. ჩვენ ვერ ვეთანხმებით ერთმანეთს კიდევ მასში, რომ, ვითომ რენტა საზოგადოებრივ სიმდიდრის ზრდასთან ერთად სპობდეს ყოველივე განსხვავებას ამ სიმდიდრესა და ხელფასს შორის. ეს არის ასე და ამის დასამტკიცებლათ მხოლოდ ჩვენი სამშობლოს მაგალითიც კმარა. ყოველ შემთხვევაში ციფირები და ფაქტები ნათელყოფენ ამას. მესამეთ, ვერ ვეთანხმებით იმაში, რომ ვითომ რენტის სახით ხარკის დადება მიწის ღირებულებაზე, სხვანაირათ, მისი კონფისკაცია და შედარებით სხვა ხარკების შემოკლება გააბედნიერებდეს ხალხს. მე კი ვამბობ, ეს ვერ გააბედნიერებს ხალხს. შემდეგ ბ. ჯორჯი აღიარებს, რომ მეტოქეობა (კონკურენცია) სასარგებლოა; მე კი წინააღმდეგს ვამბობ, რომ მეტოქეობა არსებითა მავნებელია და საზარალო (კმაყოფილების ნიშნები). ბოლოს ბ. ჯორჯი არ იზიარებს მიწის ნაციონალიზაციას, ჩვენ კი სწორეთ ამას ვქადაგებთ (კმაყოფილების ნიშნები). „პროგრესი და სიღარიბე“-ს მე 364 გვერდზე შემდეგს ვკითხულობთ: „მიწის კონფისკაცია სულაც არ არის საჭირო. რენტას უკავეთ კონფისკაცია და გააუქმეთ სხვა დანარჩენი ხარკები, გარდა ხარკისა მიწის ღირებულებაზე. კვალად, ჩვენი აზრით, მონოპოლია არ არის მთავარი მიზეზი მრეწველობის შეფერხებისა; ამას ხაზგასმით ვამბობ—არ არის. ახლა იბადება კითხვა: თუ ამდენში ვეთანხმებით ბ. ჯორჯს ჩვენ, სოციალ დემოკრატები, მაშ რაღათ გამოვდივართ ყველგან და ყოველთვის მის წინააღმდეგ: და ახლაც რათ დამავალეს გამოვსულვიყავ მის ოპონენტათ? იმიტომ ბ. თავჯდომარე, რომ ჩვენ ისეთ წერტილს მივაღწიეთ, როდესაც დღიურ საჭირ-ბოროტო საკითხებათ გადაიქცენ სოციალური კითხვები, პოლიტიკური საკითხები კი დღითი-დღე კარგავენ თავის მნიშვნელობას. ასეთი მოვლენათა წარმოშობა რამდენიმეთ უნდა უმადლოდეს ბ. ჯორჯის თხზულებებს. ამიტომ ჩვენთვის ძლიერ საჭიროა განვაგრძოთ ჩვე[...] კვლევა-ძიება ნამდვილ მეცნიერულ ნ[...] დაგზე, რომ ამ სახით შევძლოთ ორ[...] ნიზაციულმა დემოკრატიამ, მივაღწი[...] დასახულ მიზანს, რომლისაკენაც ჩვ[...] ორივენი მივისწრაფვით (ტაში). მე ვ[...] ბობ, რომ მიწის რენტა, ნამდვილათ [...] სი ზრდა, არ ამცირებს ხელფასს: მი[...] ასეთმა ზრდამ არ შეამცირა იგი ამე[...] კაში და ავსტრალიაში რენტის ზრდ[...] თან შედარებით არ შემცირებულა ხე[...] ფასი (კმაყოფილების ნიშნები). ამას ღ[...] ბეჯითებით ვამბობ ავსტრალიისა და გა[...] საკუთრებით ვიკტორიის შესახებ, სად[...] იმ დროიდან, რაც მუშათა კლასმა 8 სა[...] თის სამუშაო დრო მოიპოვა, უწინდე[...] თან შედარებით ხელფასმა ზრდას იწყ[...] ამიტომ რენტის ზრდა სულ [...] ქონია გავლენა ამ ქვეყნებში. კალ[...] ფორნიაში, რომელსაც კარგათ იცნო[...] ბ. ჯორჯი, მისი ისტორიის პირველ [...] ნებში, ნომინალური ხელ ფასი, მარ[...] ლია მაღლა იდგა. მხოლოდ ნამდვი[...] ხელფასი, მისი ვაჭრული ძალა ახ[...] უფრო მაღლა სდგას ამერიკაში, სა[...] ოცი ან ოცდახუთი წლის წინათ. ბ. [...] ნოლდ ტოინბიმ, რომელსაც პირად[...] ვიცნობდი, საფუძვლიანათ გამოიკვლ[...] ეს საკითხი და, თუმცა მე და ის არ [...] თანხმებოდით ერთმანეთს, მაგრამ მ[...] გამოკვლევანი ჯერჯერობით არავის და[...] რღვევია. ის ამტკიცებდა, რომ საზოგ[...] დოებრივი სიმდიდრის ზრდას, რენტ[...] გადიდებას არაფერ შემთხვევაში არ შე[...] ძლია შეამციროს ხელფასი. ინგლი[...] საზღვრების გაცილებაც არ არის სა[...] რო რომ ღავრწმუნდეთ ამაში. როგორ[...] ყველა თქვენგანმა იცის, 1887 და 18[...] წლებს ძლიერ დაეცა რენტა ინგლი[...] მაგრამ ვინ დაიწყებს მტკიცებას, რ[...] როდესაც 25%-ით დაეცა რენტა, ხე[...]

...რა პროვინციებს, სადაც დროგამოშვებით თავს წამოყოფს ხოლმე ამბოხება. ...შიკაიმ სახელმწიფოთა კონსორციუმისაგან ნასესხები მილიონებით, სავსებით ...წია მიზანს და უზარმაზარი ჩინეთის ...თავის პირად სურვილებს დაუკავშირა. უსუსური პარლამენტის დეპუტატთა უმრავლესობა იუანშიკაის ხელში, მონა-მორჩილი და ყურმოჭრილი გახდა, არასაიმედო დეპუტატებს ცუდი ბედი ეწია და ბევრიც აწი...ის მწარე ხვედრს. იუანშიკაის ხელით პრეზიდენტათ არჩევა უზრუნველყოფილია. ერთი სიტყვით ნორჩი რესპუბლიკა ალესრულა, იგი დაიშალა, და... და ამ ნანგრევზე ამ ჟამათ ბევრი ...მკითხე გადრა ლამობს ხელის მოთხოვნას. რასაკვირველია ამ შემთხვევაში ...ველესობა რუსეთსა და იაპონიას ...ვნის, რომელნიც მუდამ ,,მოწყალე ...ით" უყურებდენ მანდოლეთსა და ...ურიას. საკმარისი იყო რამდენიმე მანდოლ თავადს მანდოლეთის რომელიპროვინციის დამოუკიდებლობა გამოეცხადებია, რომ რუსეთის დიპლომატებს ...მარეობით ესარგებლათ. იაპონელმა ...ნისტებმაც ყოველ მოლოდინს გადააჭარბეს და წარმოიდგინეთ მათი,—თუ შეიძლება ასე ითქვას—თავხედობა ...იც კი მივიდა, რომ ნანკინში შემთხვევით მოკლული სამი იაპონელისთვის ...თან ომის გამოცხადებას მოითხოვენ ...ერთი იაპონელი მოხელის სიკვდილისთვის პორტარტურის იჯარის 50 წლით ...რძობას მოითხოვენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სხვა ჩინეთისათვის დამამცირებელ პირობებს, რომელიც იაპონიამ იუანშიკაის წარუდგინა. იაპონიის ...ული განზრახვანი სამხრეთ-მანჯურიის ...ის გარშემო ტრიალებს, ამის გამო ...თება იაპონელ შოვინისტთა მიტინგები და ასეთია მიდრეკილება იაპონელ დიპლომატებისა. როგორც ყოველთვის, ახლაც თანამედროვე კაცის მჭამლები ...ს მისიას პირნათლად ასრულებენ და ...თ მეზობლის გადამწვარ ქოხზე ხელი ...თბონ, ახლართულია საქმე, ჩინეთის ...ურება ჯერ ნორმალურ გზას ვერ ...გომია, ღვრიე წყალში თევზი ბევრია ...ელი და საქმეიმაზეა დამოკიდებული, ...რევოლუციონერებზე გამარჯვებას ...ული იუანშიკაი, გარედან შემოსულ ...რს როგორღა შეხვდება და გაუმასპინძლდება.

იმერი.

# მშრომელი ხალხი.

...იგაში. რიგაში პორტის გაფიცულ მუშების ნაცვლათ რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გამოიწერეს მუშები. მუშები ჩამოვიდენ მაგრამ სამუშაოზე უარი გააცხადეს. უარს აცხადებენ აგრეთვე მათთვის წარდგენილ პირობების მიხედვით მუშაობაზე. მუშები ისევ თავის სამშობლოში ბრუნდებიან.

**გაფიცვის გახსნა.** რიგაში გაფიცვები შესუსტდა. ორი დღის განმავლობაში რამდენიმე სამრეწველოს მუშებმა მუშაობა განაახლეს. მუშები ძველ პირობებში ანახლებენ მუშაობას. 1 სექტემბერს 1500 პორტის მუშამ დაიწყო მუშაობა. მათ ჯამაგირი ოცი პროცენტით გაუდიდეს.

# უცხოეთი.

**გერმანიის ვაჭრობა.** გერმანიის ვაჭრობა დღედღეზე ძლიერდება. 1911 წელს მან სავაჭრო საქმეში 24 მილიონი მარკის საქონელი გადააბრუნა. 1912 წელს ამ თანხას ერთი მილიარდი მარკა კიდევ მოემატა. მსოფლიო ბაზარზე გერმანელ ვაჭარს კონკურენციას უწევს მხოლოდ ინგლისელი ვაჭარი. ინგლისის საქონელი ორი მილიარდი მარკით მეტი სადდება. გერმანიის ვაჭრობის წინააღმდეგ მიდის არა მარტო ინგლისი და საფრანგეთი, არამედ შორეული აღმოსავლეთი და სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკაც. გერმანიის მოქიშპეებს ხელი შეუწყო ბალკანეთის სახელმწიფოთა ომმა.

ინგლისში 258 ყოველდღიური გაზეთი გამოდის და აქედან ლონდონში მხოლოდ 38. 700 ფრანგულ ყოველდღიურ გაზეთიდან პარიზში 69 გამოდის. გერმანიაში კი 4 ათასი დღიური გაზეთი გამოდის და ბერლინში დღიურ გამოცემათა რიცხვი სამოცს არ აღემატება.

ინგლისსა და საფრანგეთში ბურჟუაზიას და პლუტოკრატიას მეტი გაზეთი აქვს ვიდრე გერმანიაში. ინგლისისა და საფრანგეთის გაზეთებს ერთმანეთში დამოკიდებულებაც აქვთ. ეს გაზეთები ინგლისისა და საფრანგეთის საქონლის გავრცელებაში დიდ როლს თამაშობენ.

**სერბიის ხარჯთაღრიცხვა.** სერბიას განზრახვა აქვს 100 მილიონი ლევი დახარჯოს რკინის გზების გასაყვანათ და ჯარის საჭიროებაზე. ახალ დაპყრობილ მამულების გასამაგრებლათ კი 500 მილიონი ლევი დაიხარჯება. დეფიციტის დასაფარავათ ფიქრობენ 250 ფრანკი ისესხონ- გზებზე გაცხარებული მუშაობა სწარმოებს. მალე ბელგარდს და სტამბოლს და სალონაკსა და ბელგრადს შუა მატარებლების მიმოსვლა განახლდება.

...ლებასაც ხომ, ამბობს ბ, ჯორჯი, ცუდი და არა სასიამოვნო შედეგი მოყვებოდა ისე, როგორც მიწის ღირებულების ჩამოცლას. რას წარმოადგენს ინგლისის რენტის რაოდენობა? და ჩვენც ხომ ინგლისში ვეკამათებით ერთმანეთს. ძლიერ სასიამოვნოთ დამირჩებოდა ბ. ჯორჯთან კამათი ამერიკაში, რომ მქონდეს შემთხვევა. და რადგან ჩვენ ერთმანეთს ინგლისში ვეკამათებით, ამიტომ ვნახოთ რას წარმოადგენს მისი სამეურნეო რენტა? იგი დაახლოვებით 60,000,000 გირ. სტერლინგს უდრის წელიწადში—რაც ძლიერ დიდია. ბ. ჯორჯი ამბობს: დაადეთ ხარკი ამ რენტას, აიღეთ და მოახმარეთ... რას? ყურადღება მიაქციეთ, ის კი არ გვირჩევს ავიღოთ ამ ფულით ხალხისათვის საუკეთესოთ მოწყობილი საცხოვრებელი ბინები ან ხალხის განათლებას მოვახმაროთ; არა, მას სურს მოახმაროს ეს ვეებერთელა თანხა—რას? 60,000,000 გირ. სტერლინგით შეამოკლოს მრეწველობაზე დადებული ხარჯები. მერე და ვის ჯიბეში ჩაიჩხრიალებს ამოდენა ოქრო? რასაკვირველია, ჩვენი სხვილი კაპიტალისტების სასარგებლოთ წავა (ტაში და ხმები: ,,არა, არა!"). მაშ ვის სასარგებლოთ წავა? ბ. ჯორჯს არა სურს, რომ ბოლო მოეღოს მეტოქეობას. აქებს ადიდებს მეტოქეობას და ამბობს, რომ არაჩვეულებრივი ნიჭით დაჯილდოვებულნი სხვის ზურგზე უნდა გასუქდენო (ხმები: ,,მართალია!"); და თუ ეს ,,სხვები" იმდენათ ჩერჩეტნი არიან, რომ ზურგით ატარონ, უარესი მათთვის (,,მართალია, მართალია!") ჩვენ კი სულ სხვას ვამბობთ.

გოლა.

(გაგრძელება იქნება).

...ს ამდენითვე აეწიოს? რასაკვირველია, ბ. ჯორჯის მტკიცებით კი, თუ ...ტა დაეცა, ხელფასს უნდა აეწია. მე ...ხები აქ დამსწრე მუშებს, აიწია ...ფასმა? (,,არა, არა!"). შემდეგ, 1850-78 წ.წ. რენტამ ძლიერ აიწია და ...თან შედარებით ხელფასმაც აიწია ...ყოფილების ნიშნები). მაშასადამე, ბ. ...რჯის მტკიცების დედაძარღვს, იმ დებულებას, რომ რენტა აიწევს, როდესაც ...ფასი ეცემა და ეცემა, როდესაც ეს ...ნასკნელი აიწევს, არ ქონია ადგილი ...ინგლისში, არც ამერიკაში და არც ...ტალიაში! რაღა რჩება მისი დებულებიდან, როგორც დაასკვნის ,,პროგრესი და სიღარიბე"-ში? გავყვეთ კვალ...ვალ. ბ, ჯორჯი მოითხოვს რენტის ...ფისკაციას.

...ვენ, სოციალ-დემოკრატებს ამის საწინააღმდეგო არა გვაქვს-რა, სრულიად ...ვერი (სიცილი და კმაყოფილება). ...ვამბობთ, რომ ახლაც ხდება ...ვარი კონფისკაცია, კონფისკაცია ...ხის კეთილდღეობის, ჯანმრთელობის და თვით სიცოცხლისაც კი ...ამ კონფისკაციას ახდენენ ლენდლორდები და კაპიტალისტები. აქვე უნდა შევნიშნო, ბ-ნო თავჯდომარე, რომ აზრათ არა მაქვს დავიცვა ჩვენი სამშობლოს მრავალი მიწისმფლობელები,—გულწრფელათ ვამბობ, ჩვენ მაინც შეგვწევს ...ენი ძალ-ღონე, რომ დავამხოთ ისინი ყველა მონოპოლისტები და ნაციონალიზაცია გამოვაცხადოთ მთელი ინგლისის მიწა-წყალზე (ტაში). სრულიადაც არ ...ულობ ლენდლორდების დაცვას, ...რომ მინდა კი მივუახლოვდე მათ, ვსტაველი (სიცილი); მარტო სენტას კი ...არამედ მთელი მიწა გამოვგლიჯოთ ...იდან ხალხის სასარგებლოთ და წარ...მოვაწყოთ ზედ. რენტის ჩამოცი...

# მოდი, ჩემო!

——

მოდი, ჩემო! ტყეში მოგელოდები,
საცა უცხო ალაგია, რჩეული,
სად ბალახი ბალახს კოცნის, ულიმის,
ხე ხეს ეტრფის, ურთერთს გადახვეული!..

**

აქ ყვავილნი მრავალფერათ გაშლილან,
ყველა ტრფობის მორევს შენაცურია!..
მოდი, ჩემო! ტოლი უნდა ჩემს გულსაც...
მოდი: შენი სიყვარული მწყურია!..

**

ჩემი თვალი სულ შენს მხარეს გაყურებს,
გული ჩემი ტოკვით მოგელოდება...
ნუთუ გინდა—მომკლა მარად ლოდინით?
მეგობარი ნუთუ არ გეცოდება?!..

**

ოხ, ძვირფასო! რომ იცოდე, უშენოთ
გული ჩემი რარიგ უბედურია...
რომ იცოდე, როგორ ვეტრფი შენს ალერსს,
სიყვარული შენი როგორ მწყურია!..

**

შვებით, ლხენით სავსე ტყისა წიაღში,
საცა ხალხის საწამლავი ვერ სწვდება,—
ტრფობის სხივი გულსა მხოლოდ აქ ათფობს,
სრულ-ნექტარით სული მხოლოდ აქ სტკბება!..

**

აგერ—ფიჭვი ნაძვს ეხვევა, ნაძვი—ფიჭვს!..
მათი ცრემლი ტრფობით მონაწურია!..
მოდი, ჩემო! ტოლი უნდა ჩემს გულსაც...
მოდი: შენი სიყვარული მწყურია!..

სილოვანი.

ბაკურიანი.

# მწყერი

ახალ გაზაფხულზე, ოდეს მზემ ცაზე წელი კარგათ მოიმაგრა და მის გამაცოცხლებელ სხივებს მეტი ძლიერება მიეცა, უცხო ქვეყნიდან მწყერი მოფრინდა და ის იყო ბალახებში უნდა მიმალულიყო, რომ წინ შაშვი შემოეყარა.

— სალამი! და—უთხრა შაშვმა.

— გაგიმარჯოს!—მიუგო მწყერმა.

— სად დაიკარგე, ამდენხანს რომ არ მინახავხარ?—დაეკითხა შაშვი.

— უცხოეთში ვიყავი!—მიუგო მწყერმა.

— მაშ, გეთაყვა, ერთი მიამბე იქ—რა ცხოვრება ნახე?—შეეხვეწა შაშვი.

— რათ გინდა, ან როგორ გაგაგებიო ის, რაც მინახავს და გამიგონია! რა ქალაქები, რა ხალხი, რა ცხოვრება! არა, სჯობია—თავი დაანებო, რადგან შენ ეს სიზმარშიც არ მოგელანდება!!—უთხრა მწყერმა.

— საქმეც ის არის—ისეთ ცხოვრებაზე მიამბო, რაც არ მინახავს!—უთხრა შაშვმა.

— ჰეი, ჩემო კეთილო, ასეთ ცნობისმოყვარეობას რო თავს დაანებებდე, ძლიერ კარგი იქნება!—უპასუხა მკვახეთ მწყერმა და გაფრენა დააპირა.

ამაზე შაშვი მას ცოტა ნაწყენი კილოთი მიუბრუნდა:—

— ჩემო კარგო! თუ ბევრი გინახავს და გაგიგონია, საჭიროა ამით შენი თანამოძმენი აზარდო, თვარა პირის დამუწვა და იმ დაბალ მდელოებში, ბალახბულახში ბინის ძებნა, სადაც მწერ ქვემძრომთა სამეფოა, ვერაფერი მოსაწონია!

და კიდევ უნდოდა განეგძო შაშვს, მაგრამ მწყერი ადგილიდან დაიძრა და ბალახებში მიიმალა.

ჯ. ჯორჯიკა.

## საყვარელი მასწავლებლის ნათელ-ხსოვნას.

6 ენკენისთვეს ქალაქის საავათმყოფოში ხან-მოკლე ავათმყოფობის შემდეგ გადაიცვალა კლასიკური გიმნაზიის მასწავლებელი პ. პეტროვი. განსვენებული ჯერ სულ ახალგაზდა იყო, სამის წლის წინათ გაათავა უმაღლესი სასწავლებელი, ჯანღონით სავსემ პედაგოგიური ასპარეზი აირჩია. მის ერთად ერთ მიზანს ახალგაზდობაში მუშაობა, მისი გაწრთვნა და მომზადება ახალი საზოგადოებრივი მუშაობისათვის ლა შეადგენდა. ის უნერგავდა მოსწავლე ახალგაზდობას მაღალ წმინდა იდეალებს.

მას არა ერთისათვის გაუწოდებია ხელი შველისა და გონიერი რჩევით დაუბრუნებია აცდენილი გზიდან.

განსვენებული იყო მეგობარი მოსწავლისა ჭეშმარიტი მასწავლებელი, ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით, მისი დაკარგვა ამ დროს, თანამედროვე შკოლაში დამყარებულ პირობების დროს, მწვავე და სავალალოა. ეხლა, როდესაც თანდათან ღრმავდება უფსკრული მასწავლებლისა და მასწავლის შორის, როდესაც წრფელი მეგობრული განწყობილების ნაცვლად მკვახე, ფორმალური, თითქმის მტრული დამოკიდებულება მათ შორის და მასწავლებელ-მეგობრის ადგილს მეოცე რიცხვის მომლოდინე, მოხელე იპყრობს, უფრო მწვავეთ გრძნობ კაცი სიმძიმეს დანაკარგისას.

ძვირფასო მასწავლებელო! ხვალ სამუდამოთ გაგვაშორებენ შენთან, მაგრამ შენი სახე სამარადისოთ აბეჭდილი დარჩება შენს მოწაფეთა შორის.

ნაზი იყო ცხოვრება შენი და სავსე გულუხვი სიყვარულით, დე ისეთივე სინაზით და სიყვარულით ჩიგიკრას შენმა საუკუნო სავანემ.

დ—ი.

## „ღია წერილი"

„სახალხო გაზეთს", „იმერეთსა" და „თემს".

——

ბატონებო! უმორჩილესათ გთხოვთ შეიბრალოთ მკითხველი საზოგადოება და მოსპოთ ლაპარაკი და წერა ჩვენი დიდების, ჩვენი მოამაგის, ჩვენი ეროვნების სიამაყის, ჩვენი დიდის პოეტის ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე.

საზაროა, რომ საყვარელი მიცვალებული ყოველ დღე ამოიღოს სამარიდან კაცმა და წინ დაუდვას მის ქირისუფალს

პირველი ზარ დამცემი დეპეშის მიღებისთანავე ვიცოდით, ვინ იყვნენ საქართველოსა და ილია ჭავჭავაძის მკვლელები; ვიცოდით და საშვალებაზედაც მოგვითითა ერთმა ჩვენმა პატივცემულმა. მწერალმა; მაგრამ რავუყოთ, რომ ლაჩრები ვართ?! ბ. სილოვანის პატარა წიგნაკს—,,მკვლელები და მცველები" და ამ ბოლოს კიდევ ბ. ფილიპე გოგიჩაიშვილის დასაბუთებული წერილი ყველასათვის ცხად ყოფს მომხდარი ბოროტების მიზეზს და სწორეთ ამას შემდეგ გაჩნდა ,,პროტესტები"! მერე ვინ ამბობს, რომ ჩვენში მკვლელები და მცველები არ არიანო? ვინ სთქვა—ჩვენში ხალხის გამონაკლისი ნაძირალები არ არიანო, რომელნიც პროტესტებზე ხელმოსაწერ ბარათებს დაათრევენ და მითი ფიქრობენ თავი დაახწიონ საშინელ მოჩვენებას?! მაგრამ თავგადაჩეხილი ილია ჭავჭავაძე მოსვენებას არ აძლევს ვიღაცებს და მაგნეტივით აყვირებს ,,ამ სახით ნუ დამენახვებიო,"

თქვე დალოცვილებო, გაიხსენეთ ჰამლეტის სიტყვა: ,,ვისაც ნიორი უჭამია პირიც იმას დაეწვისო" თქვენ საბუთები გეჭიროთ ხელში და იმათ კი მიმართონ ბრმებ იარაღს და აცხონ პროტესტებიო!.. იქ მე წილს ნუ დამიდებენ, რაც ამ ფქვილით გამოაცხონ!.. ,,გონებით ბრმასა თვალხილულს თავი მხედველი ჰგონია"! თუ პროტესტების წერაა საჭირო, სწორედ ... იმოვნის ხელის მომწერლებს—უფრო ბევრს და უფრო პატიოსან ... ეს საშვალება ჯერ-ჯერობით—მათთვის დაგვილოცია; ... ჭავჭავაძის მკვლელები და ... მამის და ძმის მკვლელი!...

ვაი სირცხვილო! და ვაი უბედურებავ!

დიმიტრი გოგინეიშვილი.

## პასუხათ „მურუ-წიაპანტელას"...

ბ. ,,მურუ-წიაპანტელა"! „განთიადის" მე-21 ნუმერში მოთავსებული თქვენი კორესპონდენცია შორაპნიდან, რომელშიც, სხვათა შორის, ეხებით შორაპანში 11 აგვისტოს მოწვეულ მომხმარებელი საზოგადოების დამფუძნებელ კრების შედეგს და რიხიანათ გაიძახით:

1) „კრებაზე დაესწრენ ისეთი პირები, რომელნიც კოოპერატიულ საქმეს ისე ეგუებიან, როგორც მგელი ცხვარს"...

2) „არჩევნების დროს ხალხს მოუვიდა არა სასურველი შეცდომა. ეს შეცდომა ერთ არჩეულ პირს შეეხება. ეს პირი სოფლის მამასახლისათ ყოფილა და ამბობენ (იგულისხმეთ ხალხი) იმ დროს ბევრი ნედლიმკები დაგვატყდა თავზე მის მიერ გაფლანგულიო"... (ხაზი ჩვენია.) და სხ...

თქვენი ცილის წამება ხალხზე, რომ ისინი ვითომც და შეცდომაში შევიდენ ტყუილია,"მით რომ იმ ხალხმა უფრო კარგათ იცის—ვინ არის მისი მტერი და ვინ მოყვარე, ვინ გამფლანგველი და ვინ მომხმარე. რამდენათაც ხალხის ბრალდებაში მტყუანი ბძანდებით, იმდენათ და მეტათ მტყუანი ბრძანდებით იმის ცილის წამებაში, ვინც ხალხმა აირჩია წევრათ. თუ ხალხმა აირჩია, მაშასადამე ხალხს სანდოთ უკვნია; თქვენ რამ გამოგაწვიათ რომ ჩირქს სცხებთ? „მურუ-წიაპანტელას" ნუ ეფარებით, პირბადე აიხადეთ, ნათლად გამოჩნდით; გიცნობთ, ვაჟბატონო, რაც ბძანდებით! მგლათ რომ პირებს ნათლავთ, თქვენც ხომ მათთან ნავეში ბძანდებით!? ახლა რომ ვერ შეთანხმდით—ეს თქვენს შორის დარჩეს საიდუმლოთ, ამას არ შევეხები, მე მხოლოდ ერთს მოგახსენებთ: ისე არ დაცემულა ჩვენი საზოგადოების გლეხ-კაცობა, რომ მათ არ შეეძლოსთ პასუხის გება, თუ ვინმე მათ რასმე აროთმევს. თუ სხვებს არ აპატიეს და სახალხოთ გამოიყვანეს შეჭმული ფულებისათვის, იმ თქვენ მიერ სახეში მქონ ნამამასახლისებს რათ მოერიდენ? ესეც არ იყოს. ხალხი თუ ემდურის ნამამასახლისებს, აწი რათ თხოვდენ მას ბოჟაძის და მანჯავიძის არჩევნების დროს მამასახლისათ დადგომას?

მაგრამ რას ვამბობ? თქვენ ხომ სიმართლე არ გაინტერესებთ? თქვენი სურვილი ხომ მხოლოდ ისაა, რომ ჩირქი მოსცხოთ უდანაშაულო პიროვნებას და სახელი გაუტეხოთ მას ხალხში, მაგრამ...

არა მგონია მიზანს მიაღწიოთ!.. მით უფრო რომ, ხალხი კარგი ხანია რაც ნამამასახლისევს კეთილ-საიმედო პირათ სთვლის და არა „შანტაჟისტათ" როგორც ამას თქვენ ფიქრობთ..!

ნამამასახლისევი თქვენისთანა პირებს, ბ. ,,მურუ-წიაპანტელა" იმიტომ ეჯავრებათ, რომ იგი პირად მთქმელი, აშკარა გამბედავი მებრძოლია და არავის არ შეარჩენს სითაღლითეს, სიყალბეს, თუნდ უკანასკნელი ვინმე დიდი პიროვნებაც იყოს...

ამასვე უფრთხით თქვენც ბ. „მურუ-წიაპანტელა"...

არ მინდა ბევრი ლაპარაკით, მკითხველი შევაწუხო. ყველასათვის ცხადია თუ რა გაჯავრებთ, რას სწუხთ; მე მხოლოდ უკანასკნელათ ერთს მოგახსენებთ; იცოდეთ ბ. ,,გურუ-წიაპანტელა" რომ თქვენისთანა ,,ინტელიგენტს" ნამამასახლისევი არაფერში ჩამორჩება, თუმც ის სოფლის მუშაა და თქვენ კი ყოვლის მცოდნე ,,განათლებულ" პირათ თავი მოგაქვთ... საკვირველია, ღმერთმანი, ასე მალე რათ დაიწყეთ ყვილი!? ჯერ რა გააკეთეთ?! მშრომელს შრომის ნაყოფი დააფასებს და არა გაზეთებში ,,ცრუ-პანტელობა".

თქვე დალოცვილო, თუ ასე გენატრე...

სავაჭრო სახლი
**ი. გოკიელის** შვ—ბის
ქუთაისში.

აუწყებს **მოწაფეებს**, რომ მათ შეუძენიათ დიდძალი საჭირო **საწერი, სახატავი და საკანცელარიო ნივთები**
რომელიც პირდაპირ მწარმოებელისაგან არის ნაყიდი კარგი პირობებით.
სავაჭრო სახლმა ბევრ ნივთებზე გასულ წელთან შედარებით
**ფასები დაუკლო.**

ახლად მიღებულია **ჩანთები** (რანცები) მოწაფეებისთვის და ძლიერ დაკლებულ ფასებში ჩვენ მივაქცევთ მოწაფეების ყურადღებას ახლად გამოცემულ მოწაფეების
„დღიურს“ „Дневникъ“
რომელიც სრულიად დაკმაყოფილებს მოწაფის მოთხოვნილებას და შედარებით **იაფ ფასად იყიდება.**

დეპოლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალერის ქ. ქუთაისში.
# ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩა.
მოეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, ტაკზე საფენი „ლინელოუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მეირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ახარჩევი ნიმუში, შპალერის ფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშეა.
**პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი.**

ბოდათ გაზეთებში გამოქიმვა, იმჯობესი არ იყო ერთს რომელსამე „პროტესტზე“ მოგეწერათ ხელი, რომელიც უხვათ და ურცხვათ იბეჭდება დასელების არღანებში...

უარს გეტყოდენ თუ?

**დამსწრე.**

## პასუხი „სიმართლის ხმის“ რედაქციას შეკითხვის გამო (№11 ში)

ჩემი წერილი („იმერეთი“ № 134) პროტესტების გამო, შეეხება ძველ პროტესტებს დასელებისას, როდესაც პირველად გაილაშქრეს დასელებმა განსვენებულ ილია ჭავჭავაძეს წინაამდეგ. ჩემი წერილში წელიწადიც (რათ არ მიაქციეთ ყურადღება სიტყვას—ადრეც) აღნიშნული იყო, მაგრამ კორექტორს უნებლიეთ გამოეშვა, მასაც „იმერეთის“ რედაქციაც დაამოწმებს, აი მაშინ თქვენმა თანამოაზრემ დ. ჭიათურაში ჩემი სახელი და გვარით ისარგებლა ჩემდანება დაურთველად და ეხლაც ისეთ სიყალბით აცხობთ შეუფერებელ პროტესტებს.

**ილ. კაკაბაძე.**

რედაქ.-გამომცემელი **გრ. ერ ჭელიძე.**

## გარეშე ცნობა.

გაზეთი „განთიადის“ მე-22-რე ნუმერში მოთავსებულმა ბ-ნ პლებეიშვილს წერილმა ჩემს სახელოსნოში მომუშავეთა ცხოვრებიდან იმდენი სიცრუე მოფინა მკითხველ საზოგადოებას, რომ იძულებული მყო პასუხი გავსცე.

ბ. პლებეიშვილი, თითქოს დიდი მცოდნე ჩემი მუშების ცხოვრებისა, აცხადებს: ძლიერ ცუდ პირობებში უხდებოდათ მუშებს მუშაობაო.

ჩემს სახელოსნოში მუშები, თუ კი ისინი დროს უსაფუძვლო მუსაიფსა ან ცუდათ სეირნობაში არ დაკარგავდენ, თითეული დღეში გააკეთებდა 2—3 მანეთამდი, მუშაობდენ 9—10 საათს. თითეული მათგანი უფლებას აძლევდა თავის თავს, რაც უნდა საჩქარო საქმე ქონოდა მიეტოვებია ის და წასულიყო საითაც მოისურვებდა. ჩვენ კი ვალდებული ვიყავით 10 წამიც არ გაგვეცდინა და საქმე მიგვეცა, (მუშაობა იყო ნაჭრობით).

ბ. პლებეიშვილი ბძანებს „უკრაინცევმა“ მუშების მოთხოვნილებას მოთხოვნილებით გასცა პასუხიო, მაგრამ რა მოთხოვნილება წაუყენე მე მუშებს ეს სრულიად არ იცის მან. ჩემი მოთხოვნილება იყო შემდეგი:

ა. წესიერი მოპყრობა ურთიერთ შორის. ჩხუბი, უწმაწური სიტყვები, აყალმაყალი და უსაქმოთ ლაპარაკი აკრძალულია.

ბ. საქმე დღეების გაცდენა, თუ საპატიო მიზეზები არ იქნა, აკრძალულია.

გ. პასუხისმგებლობა თავისი შეკერილ ფეხსაცმელებზე, რო მალე არ გაირღვეს.

ეს იყო ჩემი მოთხოვნილება, ისევ იმათ სასარგებლოთ.

ბატ. პლებეიშვილი ბძანებს, ხმა გავრცელეს, რომ სახელოსნოს ვკეტავთ სრული სიმართლეა. სახელოსნო დაკეტილია, მისი არსებობაც შეუძლებელია ზოგიერთმა მუშებმა იწყეს ხელციცობა რაც გაფიცულებმაც კარგათ იციან. ამას ზედ ერთვის ტყავებზე საგრძნობლათ ფასის აწევა და ამასთანავე მუშების მხრით ხელფასის აწევა. ყველა ზემოხსენებულმა მიზეზებმა გამოიწვია სახელოსნოს დახურვა. ვუცხადებ ბ.ბ. გაფიცულთ—ყოველივე ანგარიშები გამისწორონ და თავისი იარაღები ჩაიბარონ რაც შეეხება შ. ვ. ცნობილაძეს, რომელზედაც ბ. პლეშეიშვილი ბძანებს — რუსეთიდან მოეშველა და საქმე ჩაშალაო, სიმართლეს მოკლებულია, მე გადაჭრით განვაცხადე კომისიაში—გაფიცულ მუშებს განაცდენს არ მივცემ თქო, მუშები კი ისე მუშაობას არ იწყებდნენ, რამაც გამოიწვია გაფიცვის გაგძელება.

**„უკრაინცევი“**

საჯარო სავაჭრო საზოგადოება.
ს.-პეტერბურგის **ქიმიური ლაბორატორიისა**
დაარსდა 1860 წ. იზმაილოვის პროსპ. № 27
ოქროს მედლებით დაჯილდოვებული პარიზში 1900 წელს.
**ოდეკოლონი ორმაგი,**
**ოდეკოლონი სამმაგი,**
**ოდეკოლონი** 4 (ექსტრატი).
პირველი ღირსებისა.
**იყიდება კავკასიის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიასა და აფთიაქში.**
საზოგადოება პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორიისა უმორჩილესათ სთხოვს საზოგადოებას უფრთხილდეს სიყალბეს და მიაქციოს ყურადღება ფირმის სახელწოდებას: „ს.-პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორია“ და ფირმის მარკას პეტრე დიდის ძეგლით გამოხატულს.

**საუკეთესო საკვები ცხენებისათვის და საქონლისათვის.**
## „პატოკსან“.
**„პატოკსან“** შეიცავს 42 პროც. შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 640.
**„პატოკსან“** საუკეთესო საშუალებაა საქონლის ღონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება აქ. იოტეიკოსი ლიეჟის შაქრის მრეწველთა კონგრესზე).
**„პატოკსან“** ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საჭმლის მონელებაში, რაც თავის რიგათ ეხმარება შრომის უნარისა და სიცოცხლის უნარის შემატებას,
**„პატოკსან“** ხელს უწყობს რომ რძის მომცემ საქონელს რძე გაუუმჯობესოს და დღიური ნაწველიც გაადიდოს.
**„პატოკსან“** თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საჭმელი.
ვინც მოისურვებს გაეგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფასს ვიხდით ჩვენ. გაგზავნის დროს ყოველგვარი ცნობა და მომხმარებლების აზრი უფასოთ იგზავნება ამიერ კავკასიისათვის.
ერთადერთი წარმომადგენელი ამიერ კავკასიისათვის **„გეორგი რუსინოვ და ამხ.“** თფილისში ვერის დაღმართი № 12 ტელეფონი 11—37 და 11—77. დეპეშით მისამართი: „რუსინოვს თფილისში“.

**ქართველ მასწავლებელთა საყურადღებოთ.**
ქ. ქუთაისში **კ, ი. ოცხელის და ამხ.** წიგნის მაღაზ. იყიდება მისივე გამოცემა
**ქართული სახელმძღვანელო**
## „საქართველოს ისტორია“
მესამე გამოცემა სურათებით და გეოგრაფიული კარტით, შედგენილი ბ. **სიმონ ქვარიანის** მიერ. წიგნი ღირს ყდით ორი აბაზათ.
**„საქართველოს ისტორიის შესწავლის შესახებ“.**
ყოველი ერი მაშინ მიდის წინ და ვითარდება, ოცა იგი სწავლობს თავის წარსულს, თავის ისტორიას-ერის აწმყო და მომავალი ცხოვრებაუმთავრესათ დამყარებულია მის წარსულზე. თუ თავის წარსულს არ გაეცნობა, ისე იგი ვერ გაიკვლევს გზას, როგორც აწმყო ცხოვრებაში, ისე აით უმეტეს მომავალში. თავის წარსულის უმეცარი ერი წააგავს იმ უკომპასო გემს, რომელიც უთავბოლოთ დაფორიალობს ზღვის ტალღებში. სწორეთ წარსულის შესწავლა, თავის საკუთარი ისტორია იგივე კომპასია ყოველი ერისათვის. ამიტომ არის; რომ განათლებული ერები დიდი გაფაციცებით იკვლევენ და სწავლობენ თავის საკუთარ ისტორია, მათ შკოლებში უმთავრეს და უსაყვარლეს **ხაგნებს** შეადგენენ: სამშობლოს ისტორია, ენა და ლიტერატურა. ეს სამი საგანი მათ განათლების საფუძველია. ასე იქცევიან განათლებული ევროპის ერები, ასე იქცევიან რუსეთის საზღვრებში მყოფი შეგნებული ერები—პოლონეთი და ფინეთი. ასე უნდა მოვიქცეთ ჩვენც. ამას გვიკარნახებს Uხოვრების სინამდვილე და მეცნიერება.
ქართველი ერის ჩამორჩენა და დაქვეითება. სხვათა შოვის, აიხსნება მით, რომ იგი არა აცნობს თავის დიდებულ წარსულს, რომლის შეგნებ გაამხევნებს მას, გააცნობს თანამედროვე ცხოვრებას, აღძრავს მის არსებაში მოქმედეგის ღრმა რწმენას და მისცემს უშრეტ ძალას წინმსვლელობისათვის. ყოველი ქართველი ზნეობივვბთ ვალდებულია გაეცნოს და შეისწავლოს თავისი წარსული, ყოველი შკოლა მოვალეა შეასწავლოს ქართველ მოწაფეებს ისტორია,
ამ მოსაზრებით აქ სამი წლის წინათ ბ. სიმონ ქვარიანმა შეადგინა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო (ეპიზოდური კურსი) დაბალ კლასებისათვის. ამ წიგნში მოთავსებულია ქართველი ერის ცხოვრება უძველეს დროიდან დაწყებული რუსეთთან შეკავშირებამდი. ეს წიგნი მოიწონა მასწავლებელთა კომისიამ და პრესამ; აგრეთვე მოიწონა იგი იმერეთის ეპარქიულმა საბჭომ და შემოიღო სახმარებლათ მთელ საქართველოში, როგორც კერძო და სამოქალაქო შკოლებში, ისე სამინისტრო და სასულიერო სასწავლებლებში. თავის მარტივი, გასაგები ენით და საგნის მწყობრი დალაგებით ეს წიგნი გავრცელდა ოჯახებში და ფეხი მოიკიდა ხალხში. ეს სასიამოვნო მოვლენა იმის ნიშანია, რომ ქართველი ხალხი იღვიძებს და მასში იბადება სურვილი თავის სამშობლო ისტორიის შესწავლისა.
დღეს ბ. სიმონ ქვარიანის „საქართველოს ისტორია“ გამოდის მესამე გამოცემათ ხუთი ათასი ცალი. გვწამს რომ მას შეხვდებიან ჩვენი შოლებში, ხალხი და საზოგადოება ისეთივე თანაგრძნობით, როგორც პირველი ორს გამოცემას. ამ მესამე გამოცემას ემატება კიდევ ქართველი ერის უდიდესი გმირის გიორგი სააკძის სურათი.
გამომცემული კ. ი. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზია. ქუთაისი.

## რკინის გზა

**ქუთაისიდან მიდის.**

**თფილისს:** სახალხო 5 ს. 10წ. დ.; სახ 10 ს. 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.

**ბათომს:** სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5 წ. საღ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ.

**ფოთს:** საავგარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახალ. 5 ს. 10 წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. საღ.; სახ. 7 ს. 56 წ. საღ.

**შორაპანს:** საავგარ. 4 ს. 57 წ. დღ.

**ტყიბულს:** სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; სახ. 45 წ. დღ.

**ქუთაისს მოდის.**

**თფილისიდან:** სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. საღ.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. სახ. 1 ს. 26 წ. ღამით.

**ბათომიდგან:** ფოშტ. 1 ს. 20 წ. დღ.; სახ. 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ.; 7 საათ. დილ-

**ფოთიდან:** საავგ. 10 ს. 3 წ. დილ.; სახ. 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ.

**შორაპნიდან:** საავგ. 9 ს. 31 წ. დილ.

**ტყიბულიდან:** სახ. 5 ს. 11 წ. დღ. სახ. საათ. 9 წ. დილ.

## КУРСЫ
кройки и шитья для дамъ и дѣвицъ.
## ПРІЕМЪ
заказовъ на элегантные дамскіе наряды
## M-me МАРИ
На-сколько важно для каждой дамы и дѣвицы самой, безъ посторонней помощи, умѣть кроить и шить, говорить объ этомъ нѣтъ надобности. Достаточно сказать, что спеціальность эта, совмѣщаетъ въ себѣ двойную выгоду: ЭКОНОМІЮ и ЗАРАБОТКИ. Она каждой дамѣ и дѣвицѣ даетъ могучую возможность: 1) одѣваться почти даромъ и со вкусомъ и 2) зарабатывать вдвойнѣ—путемъ преподованія курсовъ и пріема заказовъ. Курсы эти открыты мною по образцу заграничныхъ. Благодаря особенностямъ метода и постановкѣ дѣла курсы усваиваются БЫСТРО, ЛЕГКО и ОСНОВАТЕЛЬНО. За мою долголѣтнюю практику заграницей и въ столичныхъ городахъ Россіи, какую я на этомъ поприще искуства принесла пользу, въ этомъ убѣждаютъ безчисленныя газетныя благодарности, какія систематически изъявлены мнѣ многими изъ моихъ бывшихъ курсистокъ. Время дорого, до начала занятій остается немного. Поспѣшите записаться на курсы. Кандидатки сверхъ комплекта приниматься не будутъ.
Тутъ же при курсахъ открыта мною спеціальная мастерская для пріема заказовъ исключительно на элегантные наряды, отличающіеся изящностью фасона и художественностью работы. Полное угежденіе вкусу любительницъ изысканныхъ нарядовъ, это—нашъ девизъ. Ѣздить въ Тифлисъ на курсы или за заказомъ художественно—изящныхъ нарядовъ болѣе нѣтъ надобности.
*Адресъ* Кутаисъ, 1-ая Алексаноровская улица, домъ Бокерія противъ бульвара.
Съ почтеніемъ **M-me МАРИ.**

ხრესილი.
## სამკურნალო აბანო
მეირფასი მთის აერზე
**ძმ. ყორყოლაძეების**
ახალი ოთახები და ფაეტონები.
შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.

## გ. გორდაძის და ს. წერეთლის
ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მაზის ქარხნის, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКО“
**რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:**
საუკეთესო
ქარხნებისგან
**მიღებული რკინეული**
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სალებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი და სხ.
**ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.**
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.